ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N49

2024 წელი; 20 მარტი, 16:30 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ღაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი
დავით ფარცვანია

სხდომის თავმჯდომარე:
არჩილ გორდულაძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გორდულაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

არჩილ გორდულაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისთვის, წერილობითი ფორმით, წარდგენილი შემდეგი ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია:

✓ მ/წლის 5 თებერვალს წარმოდგენილი კორესპონდენციებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ნინო კვიტაიშვილმა და გიორგი ონიანმა დატოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";

✓ მ/წლის 13 მარტს წარმოდგენილი კორესპონდეციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ირაკლი ეძგვერაძემ დატოვა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა და გამოთქვა სურვილი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე;

✓ მ/წლის 13 მარტს წარმოდგენილი კორესპონდენციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ბარბარა ჯიმელი-სულაშვილმა განაცხადა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და განათლებისა და კულტურის კომისიის შემადგენლობაში გაწევრიანების სურვილის თაობაზე;

✓ მ/წლის 13 მარტს წარმოდგენილი წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ირაკლი ნადირაძემ გამოთქვა სურვილი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, ამასთანავე, წარმოადგინა, ფრაქციის 2024 წლის 13 მარტის სხდომის ოქმი, რომლის თანახმად, ფრაქციის სხდომამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში წარდგენილ იქნას ფრაქციის წევრი - ირაკლი ნადირაძე, განათლებისა და კულტურის კომისიაში - ფრაქციის წევრი - ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, ხოლო, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში - ირაკლი ეძგვერაძე;

✓ მ/წლის 19 მარტს წარმოდგენილი წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფრაქციო წევრმა თორნიკე ბიკაშვილმა განაცხადა იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე;

✓ მ/წლის 20 მარტს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას წერილი და აღნიშნული ფრაქციის მ/წლის 20 მარტის სხდომის ოქმი N50, რომლის მიხედვითაც, ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შემდეგ ღონისძიებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გურამ ოქროპირიძის მიერ, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და განათლებისა და კულტურის კომისიაში გაწევრიანების შესახებ საკითხს;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის მიერ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და სარევიზიო კომისიაში გაწევრიანების შესახებ საკითხს.

არჩილ.გორდულაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის აპარატმა მომართა წერილობით (დოკუმენტის N:GOV 4 24 00007032) (საკრებულოში რეგისტრაციის N03-032407235-03) და წარმოადგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 11 მარტის №112 ბრძანების ასლი - „ლევან ჟორჟოლიანის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის შესახებ".

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად დადგენილ, ზემოაღნიშნული კორესპონდენციებით წარმოდგენილი საკითხების თანმდევ, შემდეგ სამართლებრივ პროცედურულ ღონისძიებებზე:

✓ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" :

- 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება; კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

- ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო;

- ხოლო, ასევე ამავე მუხლის 2[2] პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე;

- 30[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანოში ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობაზე წარდგენილი წევრი საქმიანობას წყვეტს ფრაქციის გაუქმების, მისი ფრაქციიდან გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის მიერ მისი ამ ორგანოდან გაწვევის შესახებ განცხადების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. ფრაქციას უფლება აქვს, ახალი კანდიდატურა წარადგინოს;

✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

- მე-17[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გავიდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრმა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას;

- 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრს უფლება აქვს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებაც

სამი დღის ვადაში წერილობით ატყობინებს ფრაქციის თავმჯდომარეს, ბიუროს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც აღნიშნულ ფაქტს უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს;

- 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ² პუნქტის თანახმად, საკრებულოს ბიურო ცნობად იღებს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილ ცვლილებებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებთა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ დაცულია საკრებულოს ფრაქციის მიერ კომისიის წევრის წარდგენის წესი, ამასთანავე, წარმოდგენილი ცვლილებები შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებთა დაცვის კომისიის წევრებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ კომისია დანართის სახით წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

ამასთანავე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებთა დაცვის კომისიამ ერთმად დაადგინა, რომ საკრებულოს წევრის ლევან ჟორჟოლიანის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები აისახება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, უახლოეს სხდომაზე საკრებულოს წევრის ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან.

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გორდულაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით - მე-2 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 12 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის აპარატმა მომართა წერილობით (დოკუმენტის N:GOV 4 24 00007032) (საკრებულოში რეგისტრაციის N03-032407235-03) და წარმოადგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 11 მარტის №112 ბრძანების ასლი - „ლევან ჟორჟოლიანის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის შესახებ".

არჩილ გორდულაძის განმარტებით, წარმოდგენილი კორესპონდენცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით” გათვალისწინებული შემდეგი პროცედურების დაცვისა და განსაზღვრული პროცედურული ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას:

- ✓ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ :

- 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;**

- ამავე კოდექსის 42-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ნიშნავს** საქართველოს პრეზიდენტი ან **საქართველოს პრემიერ-მინისტრი;**

- ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა;**

- 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს ამ კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს** ან **ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად.** თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.** ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი **შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.**

- ამავე ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 **დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს (შემდგომში - რეგლამენტი):**

- ✓ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- ✓ **რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,** თუ საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, **საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია არკვევს გაცდენის მიზეზს** ან/და დაუყოვნებლივ ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შეუთავსებლობის საკითხზე დასკვნას უახლოეს სხდომაზე წარუდგენს საკრებულოს.** თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს **საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.** ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი **შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის** მომდევნო დღიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმსჯელა და ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტით **გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომაზე უნდა განიხილოს ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ასევე ერთხმად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია შეიმუშავებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე, დანართის სახით წარუდგენს - **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე" განკარგულების პროექტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი		არჩილ გორდულაძე
სხდომის მდივანი		თამთა კაკოიშვილი